ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი - აჭარის კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის

ბრძანება №

MES 7 23 0001-07/58

30/03/2023

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის პირობების ცვლილების შესახებ

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა თეიმურაზ ვარშანიძის 2023 წლის 06 მარტის №261394 და 21 მარტის №322900 განცხადებები, სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 01 დეკემბრის №01-07/131 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილების შესახებ.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე და მიღებული იქნა გადაწყვეტილება - შეთანხმდეს, ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა №14-ში (ს/კ: 05.21.31.003) მდებარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შეთანხმებულ პროექტში, ტერასაზე ლიფტის შახტის მოწყობისა და ინტერიერის სამუშაოების ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება (სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 28 მარტის სხდომის ოქმი №03-04/5).

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და მივიჩნევთ რომ სრულად აკმაყოფილებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 107-ე 112-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის ,,გ” პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 01 დეკემბრის №01-07/131 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში თეიმურაზ ვარშანიძის მიერ 2023 წლის 06 მარტის №211394 და 21 მარტის №322900 განცხადებებით წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით.
2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ